გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება № 92

2023 წლის 9 ივნისი

ქალაქი გორი

გორის რაიონულ სასამართლოში გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წარმომადგენლობის უფლებამოსილების მქონე პირის დანიშვნის შესახებ

გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოში 2023 წლის 15 მაისს შემოსულია (მუნიციპალიტეტის საკრებულოში რეგისტრაცის N: 09/21231354-21) სასამართლო გზავნილი ადმინისტრაციულ საქმეზე №3/71-23, 140310023006977175, რომლის თანახმად, გორის მუნიციპალიტეტის საკრებულო გორის რაიონულ სასამართლოში მონაწილეობს მოპასუხის სტატუსით გორის მუნიციპალიტეტის მერიასთან ერთად. საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-6 პუნქტის თანახმად, თუ მუნიციპალიტეტის საკრებულომ სხვა გადაწყვეტილება არ მიიღო, საქართველოს საერთო სასამართლოებსა და საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში მუნიციპალიტეტს წარმოადგენს მუნიციპალიტეტის მერი ან მის მიერ უფლებამოსილი პირი. იმის გათვალისწინებით, რომ საქმეში ასევე მონაწილეობს გორის მუნიციპალიტეტის მერია, მიზანშეწონილია საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 24-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „ბ.ზ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საკრებულომ მიიღოს გადაწყვეტილება საკრებულოს და არა მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობის უფლებამოსილების მქონე პირის დანიშვნის შესახებ.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 24-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „ბ.ზ“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტის შესაბამისად,

1. დაინიშნოს გორის მუნიციპალიტეტის მერი ვლადიმერ ხინჩეგაშვილი ან მის მიერ უფლებამოსილი პირი გორის რაიონულ სასამართლოში გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წარმომადგენლობის უფლებამოსილების მქონე პირად ადმინისტრაციულ საქმე №3/71-23, 140310023006977175.

2. გორის მუნიციპალიტეტის მერმა ვლადიმერ ხინჩეგაშვილმა ან მის მიერ უფლებამოსილმა პირმა ადმინისტრაციულ საქმე №3/71-23, 140310023006977175 გორის

მუნიციპალიტეტის საკრებულოს სახელით აწარმოოს საქმეები სასამართლოს ნებისმიერ ინსტანციაში და ისარგებლოს ყველა იმ უფლებით რომლითაც სარგებლობს მხარე, მათ შორის აღძრას სარჩელი, უარი თქვას სასარჩელო მოთხოვნაზე მთლიანად ან ნაწილობრივ, ცნოს სარჩელი, შეცვალოს სარჩელის საგანი, მორიგებით დაამთავროს საქმე, გაასაჩივროს სასამართლოს გადაწყვეტილებები და განჩინებები, უარი თქვას სასამართლოს გადაწყვეტილებების და განჩინებების გასაჩივრებაზე, დააყენოს შუამდგომლობები, წარმოადგინოს მტკიცებულებები, აიღოს სააღსრულებო ფურცელი.

3. განკარგულება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

4. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის განმავლობაში სარჩელის წარდგენის გზით გორის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქალაქი გორი, სერგო ჯორბენაძის ქ. №30).

საკრებულოს თავმჯდომარე **დავით რაზმაძე**